385
1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 36 (196) 30 დეკემბერი 1962 წელი


## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები


განყოფილება პირველი

581. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სიერა-ლეონეში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გ. ს. პაშჩენკოს დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

582. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
583. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი ვარსკვლავის ორდენით ინჟინერ-ადმირალ ნ. ვ. ისაჩენკოვის დაჯილდოების შესახებ.
584. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორისათვის, პროფესორ ვ. ე. პისარევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
585. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ნადირაძე-ვრონსკისათვის და კ. ა. სიმეონოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
586. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის“ ორდენით ვ. ი. იარიკოვის დაჯილდოების შესახებ.
587. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ პ. ე. ბრაიკოს დაჯილდოების შესახებ.
588. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი ვარსკვლავის ორდენით საბჭოთა არმიის რიგითის ვ. თ. ველიჩკოს დაჯილდოების შესახებ.
589. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი ვარსკვლავის ორდენით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრების ა. გ. ლიაპუსტინის და ი. გ. ჩევდარის დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს [illegible]მდებლო განზრახულებათა კომისიებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პან ძი-ლიმ.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

590. კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

591. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

592. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 და 56 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

593. კანონი „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

594. კანონი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

595. კანონი „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების 15 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

596. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

597. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

598. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. მ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

599. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. მ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

600. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ვ. მ. სირაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

601. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

602. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ზ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

603. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

604. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ზ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩევის შესახებ.

605. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებულ კანონებისა და დადგენილებების გამოქვეყნების შესახებ.

## განყოფილება მეორე

606. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებისა და სამხედრო ნაწილების თანამშრომელთა და სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

8787

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 581 სიერა-ლეონეში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გ. ს. პაშჩენკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სიერა-ლეონეში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გრიგოლ სტეფანეს ძე პაშჩენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 17 დეკემბერი.
№ 826-VI.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 582 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. მურასტა აკპიარ ყზი **კარიმოვას** — შულავერის მერძეეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, მარნეულის რაიონი;
2. ზარგალამ მუსა ყზი **მამედოვას** — ყაჩაღანის მერძეეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, მარნეულის რაიონი;
3. ბალდასარ ჰაჯი ყზი **მამედოვას** — კოლმეურნეს, დმანისის რაიონის სოფელი კიროვისი;
4. ნიარ მუსტაფა ყზი **ტახმაზოვას** — ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, მარნეულის რაიონი;
5. ელენე დემიანის ასულ **ჰაჯიევას** — ყარაბულახის საბჭოთა მეურნეობის მუშას, დმანისის რაიონი;
6. ფირუზ კასუმ ყზი **ხალილოვას** — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი მარნეული;

7. ასლი იუსუბ ყზი იუსუბოვას — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი მოლაოღლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 17 დეკემბერი.

№ 832-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 583 წითელი ვარსკვლავის ორდენით ინჟინერ-ადმირალ ნ. ვ. ისაჩენკოვის დაჯილდოების შესახებ

სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ინჟინერ-ადმირალი ნიკოლოზ ვასილის ძე ისაჩენკოვი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 დეკემბერი.

№ 841-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 584 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორისათვის, პროფესორ ვ. ე. პისარევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სელექციის განვითარებაში დამსახურებისათვის, მარცვლეული კულტურების ძვირფასი ჯიშების გამოყვანისათვის და დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, არაშავმიწანიადაგიანი ზოლის ცენტრალური რაიონების სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების სელექციის ლაბორატორიის გამგეს ამხ. ვიქტორ ევგრაფის ძე პისარევს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 21 დეკემბერი.

№ 842-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 585 ვ. ი. ნადირაძე-ვრონსკისათვის და კ. ა. სიმეონოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება:

1. ვახტანგ ივანეს ძე **ნადირაძე-ვრონსკის** — კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ ბალეტმეისტერს;

2. კონსტანტინე არსენის ძე **სიმეონოვს** — კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ დირიჟორს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 დეკემბერი.

№ 843-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 586 „საპატიო ნიშნის" ორდენით ვ. ი. იარიკოვის დაჯილდოების შესახებ

ბრაზილიაში სამუშაოზე ყოფნის დროს მამაცობის და თავგანწირულობის გამოჩენისათვის ბრაზილიაში სსრ კავშირის საელჩოს რეფერენტი ვალერი ივანეს ძე **იარიკოვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 დეკემბერი.

№ 844-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 587 ლენინის ორდენით ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ პ. ე. ბრაიკოს დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი პეტრე ეგნატეს ძე **ბრაიკო** დაჯილდოვდეს **ლენინის ორდენით**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 დეკემბერი.

№ 847-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 588 წითელი ვარსკვლავის ორდენით საბჭოთა არმიის რიგითის ვ. თ. ველიჩკოს დაჯილდოების შესახებ

ამხანაგის სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის საბჭოთა არმიის რიგითი ვასილ თევდორეს ძე ველიჩკო დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 დეკემბერი.
№ 852-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 589 წითელი ვარსკვლავის ორდენით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრების ა. გ. ლია-პუსტინის და ი. გ. ჩევდარის დაჯილდოების შესახებ

საშიშ დამნაშავეთა დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირული მოქმედებისათვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრები ალექსი გიორგის ძე ლიაპუსტინი და ივანე გიორგის ძე ჩევდარი დაჯილდოვდნენ წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 დეკემბერი.
№ 853-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიებში

ა. წ. 13 და 14 დეკემბერს კრემლში ამხ. გ. ი. ვორობიოვის და ამხ. ნ. ზ. ზარიპოვას თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიების გაერთიანებული სხდომები.

კომისიების დღის წესრიგშია ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების და სსრ

კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომითი-გამასწორებელი კანონმდებლობის საფუძვლების პროექტები.

კანონპროექტების შემუშავების მსვლელობაზე კომისიებმა მოისმინეს ქორწინების და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მომამზადებელი ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ნ. ი. სერგეევას და შრომითი-გამასწორებელი კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მომამზადებელი ქვეკომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ტ. სერდიუკის მოხსენებები.

კომისიის წევრებმა მუხლობრივ განიხილეს საფუძვლების პროექტები, დეპუტატების, სამინისტროების და უწყებების წარმომადგენელთა, ცალკეულ მოქალაქეთა შენიშვნები და წინადადებები, აგრეთვე ის შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც საფუძვლების პროექტების განხილვის დროს გამოთქვეს რესპუბლიკებსა და ოლქებში. სხდომებზე შენიშვნებითა და წინადადებებით გამოვიდნენ კომისიის წევრები დეპუტატები ა. ა. აბდრაზიაკოვი, ვ. ა. აზანი, გ. თ. ანტონიაკი, რ. მ. ახმეტოვა, ს. ზ. ბორისოვი, მ. ტ. ბლაჟა, უ. კ. ვახაბოვა, ვ. თ. ვინოკუროვი, ა. პ. ა. გაბალისი, პ. მ. დინკოვი, თ. დ. კლემენტი, ზ. ვ. პანევი, ა. ა. პოშკაიტიტე, პ. ს. პროკონენი, ნ. ნ. როდიონოვი, ლ. ს. სობოლევი, ე. გ. სოროჩანი, ა. მ. ტარასოვი პ. ვ. ურაევი, უ. კ. ფოლმანისი, ს. დ. ხიტროვი და სხვ.

საფუძვლების პროექტები რომ განიხილეს, კომისიებმა ძირითადად მოიწონეს ისინი და გადაწყვიტეს დაამთავრონ პროექტებზე მუშაობა იმ ვარაუდით, რომ მოამზადონ საფუძვლების პროექტები და შეიტანონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დასამტკიცებლად.

კანონპროექტების განხილვაში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს სხდომებზე მოწვეულმა სასამართლოს, პროკურატურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და სხვა უწყებების მუშაკებმა, სწავლულებმა.

კომისიებმა განიხილეს და დაამტკიცეს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიების 1963 წლის სამუშაო გეგმა.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ნ. რ. მირონოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რ. ა. რუდენკომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ვ. მ. ჩხიკვაძემ, სკკპ ცენტრალური კომიტე-

ტის განყოფილების გამგის მოადგილემ ვ. ი. ლაპუტინმა, რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლ. ნ. სმირნოვმა, რუსეთის სფს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ნ. ს. პრუსაკოვმა, რუსეთის სფს რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ ვ. პ. პეტუშკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სამინისტროების, უწყებების პასუხისმგებელმა მუშაკებმა, მეცნიერების, საზოგადოებრიობის, პრესის წარმომადგენლებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პან ძი-ლიმ

ა. წ. 15 დეკემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პან ძი-ლი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს მრჩევლები ჯან დე-ციუნი, ჩენ დუნი, ჯან მო-ტანი, სამხედრო ატაშე გენერალ-მაიორი პან ჯენ-უ, სავაჭრო მრჩეველი ჯენ ტო-ბინი, სამხედრო ატაშეს თანაშემწე პოლკოვნიკი ლინ ციანი, საელჩოს მეორე მდივნები ციან ცი-ჩენი, იუი ხუნ-ლიანი, ლიუ ხუა, კან ჩი-მინი, ლიუ გუი-რუანი, ატაშე ლიუ გუან-ჯი, ჯან და-კე, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ი. ტუგარინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებების გამგეთა მოადგილენი ბ. ნ. ვერეშჩაგინი, კ. ნ. კოლიჩევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევსა და პან ძი-ლის შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. საუბარს დაესწრნენ მ. პ. გიორგაძე და გ. მ. პუშკინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### კ ა ნ ო ნ ი

**590** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

### კ ა ნ ო ნ ი

**591** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით შემოსავლის ნაწილში 804.447 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 804.447

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1964 წლის 1 იანვრისათვის 24.133 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავლები სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 726.856 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის საერთო თანხით 333.274 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის, პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 423.940 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 87.230 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შენახვაზე—16.667 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1963 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი — 745.777 ათასი მანეთი, გასავალი — 505.225 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 240.552 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1964 წლის 1 იანვრისათვის 16.166 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1963 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები, სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1964 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 29188,3 | 21670,9 | — | 29188,3 | 875,6 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 21424,4 | 15908,0 | — | 21424,4 | 642,7 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 9742,2 | 3763,3 | 4981,5 | 9742,2 | 292,2 |
| 4. ქალაქი თბილისი | 85137,2 | 62810,8 | — | 85137,2 | 1702,7 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 11892,0 | 7542,5 | — | 11892,0 | 237,8 |
| 6. ქალაქი ფოთი | 4219,7 | 3504,9 | — | 4219,7 | 126,6 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 3925,2 | 3414,0 | — | 3925,2 | 163,5 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 7728,9 | 3193,7 | 3678,8 | 7728,9 | 154,6 |
| 9. ქალაქი გორი | 3159,1 | 2127,0 | — | 3159,1 | 63,2 |
| 10. აბაშის რაიონი | 1357,6 | 1155,9 | — | 1357,6 | 56,1 |
| 11. ამბროლაურის რაიონი | 1740,7 | 625,1 | 991,3 | 1740,7 | 63,1 |
| 12. ახალქალაქის რაიონი | 4841,2 | 1703,6 | 2755,4 | 4841,2 | 148,6 |
| 13. ახალციხის რაიონი | 5372,5 | 3805,8 | 930,9 | 5372,5 | 146,1 |
| 14. ახმეტის რაიონი | 2013,4 | 809,8 | 1042,6 | 2013,4 | 59,1 |
| 15. ბოლნისის რაიონი | 2147,7 | 753,8 | 1075,5 | 2147,7 | 59,4 |
| 16. ბორჯომის რაიონი | 2201,9 | 1696,4 | — | 2201,9 | 53,0 |
| 17. გეგეჭკორის რაიონი | 2998,4 | 1024,6 | 1741,2 | 2998,4 | 102,2 |
| 18. გორის რაიონი | 2851,6 | 2557,0 | — | 2851,6 | 106,1 |
| 19. გურჯაანის რაიონი | 3368,9 | 2265,9 | 752,2 | 3368,9 | 103,2 |
| 20. დმანისის რაიონი | 1603,4 | 342,0 | 1144,5 | 1603,4 | 66,9 |
| 21. დუშეთის რაიონი | 2482,8 | 422,6 | 1717,1 | 2482,8 | 76,1 |
| 22. ვანის რაიონი | 1892,0 | 478,6 | 1170,4 | 1892,0 | 68,2 |
| 23. ზესტაფონის რაიონი | 2893,9 | 2546,1 | — | 1893,9 | 85,0 |
| 24. ზუგდიდის რაიონი | 5764,0 | 5090,7 | — | 5764,0 | 140,8 |
| 25. თეთრიწყაროს რაიონი | 2448,8 | 411,6 | 1773,9 | 2448,8 | 73,2 |
| 26. თელავის რაიონი | 3817,9 | 3440,9 | — | 3817,9 | 86,1 |
| 27. თერჯოლის რაიონი | 1832,1 | 679,0 | 894,6 | 1832,1 | 71,1 |
| 28. თიანეთის რაიონი | 1379,6 | 315,5 | 912,1 | 1379,6 | 38,7 |
| 29. კასპის რაიონი | 2208,7 | 1935,2 | — | 2208,7 | 70,0 |
| 30. ლაგოდეხის რაიონი | 2329,2 | 2021,4 | — | 2329,2 | 74,7 |
| 31. ლანჩხუთის რაიონი | 2089,3 | 1621,4 | — | 2089,3 | 65,3 |
| 32. ლენტეხის რაიონი | 1352,2 | 104,0 | 1189,9 | 1352,2 | 42,1 |
| 33. მაიაკოვსკის რაიონი | 1526,5 | 358,0 | 1037,1 | 1526,5 | 53,2 |
| 34. მარნეულის რაიონი | 3242,0 | 2947,8 | — | 3242,0 | 89,2 |
| 35. მახარაძის რაიონი | 3723,2 | 2958,6 | — | 3723,3 | 109,5 |
| 36. მესტიის რაიონი | 1479,2 | 128,1 | 1306,2 | 1479,2 | 42,6 |
| 37. მცხეთის რაიონი | 2089,4 | 1785,7 | — | 2089,4 | 57,2 |
| 38. ონის რაიონი | 1519,0 | 300,6 | 1086,0 | 1519,0 | 48,2 |
| 39. ორჯონიკიძის რაიონი | 2063,3 | 594,1 | 1324,7 | 2063,3 | 65,5 |

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები, სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1964 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| 40. საგარეჯოს რაიონი | 2041,7 | 1331,4 | 305,1 | 2041,7 | 82,5 |
| 41. სამგორის რაიონი | 4297,7 | 3233,7 | 313,7 | 4297,6 | 143,0 |
| 42. სამტრედიის რაიონი | 3253,1 | 2614,5 | — | 3253,1 | 84,3 |
| 43. საჩხერის რაიონი | 1862,4 | 486,6 | 1185,7 | 1862,4 | 57,4 |
| 44. სიღნაღის რაიონი | 2435,3 | 1914,3 | 162,5 | 2435,3 | 70,8 |
| 45. ტყიბულის რაიონი | 2306,2 | 1929,0 | 43,4 | 2306,2 | 60,8 |
| 46. ქარელის რაიონი | 2401,2 | 2153,3 | — | 2401,2 | 73,6 |
| 47. ყაზბეგის რაიონი | 1038,3 | 126,7 | 853,1 | 1038,3 | 27,2 |
| 48. ყვარლის რაიონი | 1704,7 | 699,4 | 811,2 | 1704,7 | 55,2 |
| 49. ჩოხატაურის რაიონი | 2137,4 | 829,5 | 1105,3 | 2137,4 | 66,8 |
| 50. ჩხოროწყუს რაიონი | 1626,2 | 814,9 | 702,6 | 1626,2 | 56,0 |
| 51. ცაგერის რაიონი | 1583,9 | 406,1 | 1060,5 | 1583,9 | 51,6 |
| 52. ცხაკაიას რაიონი | 2378,1 | 2471,0 | — | 2378,1 | 78,3 |
| 53. წალენჯიხის რაიონი | 2000,6 | 1343,0 | 497,7 | 2000,6 | 59,8 |
| 54. წალკის რაიონი | 2183,6 | 385,6 | 1619,1 | 2183,6 | 80,0 |
| 55. წითელწყაროს რაიონი | 1919,9 | 1142,0 | 521,2 | 1919,9 | 45,6 |
| 56. წულუკიძის რაიონი | 2229,7 | 744,5 | 1219,4 | 2229,7 | 59,8 |
| 57. წყალტუბოს რაიონი | 3552,8 | 3000,4 | — | 3552,8 | 104,6 |
| 58. ხაშურის რაიონი | 2933,8 | 1932,3 | 413,2 | 2933,8 | 77,6 |
| 59. ხობის რაიონი | 1788,1 | 568,5 | 1030,5 | 1788,1 | 57,2 |
| სულ | 299222,0 | 197101,9 | 43150,1 | 299222,0 | 7967,0 |

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1963 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;

ბ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;

გ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემო-სავლო გადასახადიდან | კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასა-ხადიდან | სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან | უცოლოთა და უშვილო მარტოხელა და მცირე ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახა-დიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . | 40 | 100 | 100 | 82 | 80,7 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სო-ციალისტური რესპუბლიკა . . . | 40 | 100 | 100 | 76 | 21,6 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 100 | 100,0 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . . . . | 33 | — | — | 85 | 18,2 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . . . . | 20 | — | — | 82 | 10,0 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . . . | 40 | — | — | 98 | 85,9 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . . . . | 71 | 100 | 100 | 100 | 99,4 |
| 8. ქალაქი რუსთავი . . . . . . . | 50 | — | — | 100 | 100,0 |
| 9. ქალაქი გორი . . . . . . . . | 31 | — | — | 100 | 35,9 |
| 10. აბაშის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 100 | 99,9 |
